სასამართლო
ექსპერტიზის
ეროვნული ბიურო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა

2023 წელი

სარჩევი

შესავალი ---------- ----- 3

სიტუაციური ანალიზი ---------- 3

საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტები ---------- 3

ეროვნული საკანონმდებლო ბაზა და პოლიტიკის განსაზღვრის დოკუმენტი ---------- 4

ხედვა, მიზნები და ამოცანები ---------- 5

მონიტორინგი და ანგარიშგება ---------- 6

ლოგიკური ჩარჩო ---------- 7

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში -ბიურო)მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა უფლებების სამოქმედო გეგმას მიმიდინარე (2023 წელი) წლის განმავლობაში.

დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციასა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით, ბიუროს მიერ გამოიკვეთოს ის მნიშვნელოვანი პრიორიტეტები, რომელთა აღსრულებაც განისაზღვრება 2023 წელს და თავის მხრივ ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დაცვას, ინკლუზიური გარემოს შექმნას და ბიუროს სერვისების ადაპტირებას.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელდა ბიუროს მენეჯმენტის უშუალო მონაწილეობით.

გეგმის შემუშავების პროცესში ასევე მონაწილეობდნენ შშმ თემის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

სიტუაციური ანალიზი

- **საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტები**

ბიუროს სამოქმედო გეგმის შედგენა დაეყრდნო ისეთ საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტებს, როგორიცაა გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ და მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), ხოლო მეორეს მხრივ ეროვნულ კანონმდებლობას, როგორიცაა საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“.

2014 წელს საქართველომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიკაცია განახორციელა, რითაც ერთის მხრივ ქვეყანამ აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო მეორეს მხრივ, იკისრა რიგი ვალდებულებები როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კონვეციის მიხედვით წევრი სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა, როგორც საკანონმდებლო

და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით, ასევე ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამრღვევი პრაქტიკის შეცვლით.

ასევე 2015 წელს გაერომ მდგრადი განვითარების მიზნები დაამტკიცა. მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა მიმართულია გაეროს ყველა წევრი ქვეყნისთვის უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად, მათ შორის არაერთი მიზანი და ამოცანა ეხმიანება შშმ პირების მხარდამჭერი სისტემების გაუმჯობესებას და სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველყოფას.

- **ეროვნული საკანონმდებლო ბაზა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები**

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 11 (თანასწორობის უფლება) ითვალისწინებს კონკრეტულ ვალდებულებას სახელმწიფოს მიმართ შშმ პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.“

ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია 2021-2030 წლებისთვის ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერების და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდის საჭიროებას. ამისათვის დოკუმენტი მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის მიმართულებით ერთიანი, სისტემური და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პოლიტიკის დანერგვას. ამას გარდა, სტრატეგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მსგავსი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფას.

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში უკეთ ასახვის მიზნით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. კანონი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე. აღნიშნული კანონის მიზანი შშმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება, მათი უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და საქართველოს კანონმდებლობაში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების ასახვაა. ამისათვის კანონი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს სახელმწიფო უწყებების, მათ შორის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიმართ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინკლუზიური გარემოს შექმნის და მათთვის სრულყოფილი სერვისების მიწოდების მიზნით, ბოლო წლების განმავლობაში ბიურო

თანმიმდევრულად ახორციელებს ცენტრალური და რეგიონული ოფისების ადაპტირებას. კერძოდ, კი, ახალციხის, ბათუმის, გორის, თბილისის (ცენტრალური, სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი), აღჭურვილია პანდუსებით. ხოლო, ქუთაისის რეგიონულ დეპარტამენტში და თბილისის სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში მოწყობილია სველი წერტილი. შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით მიღწეული პროგრესის მიუხედავად, შშმ პირთა ინკლუზიის გზაზე გამოწვევები კვლავ მრავლადაა. ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად ყოველწლიური შიდაუწყებრივი გეგმების შემუშავებას, რათა ჯეროვნად და თანმიმდევრულად აღასრულოს კანონით ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული დოკუმენტი პირველია შიდაუწყებრივ სამოქმედო გეგმათა შორის.

ხედვა, მიზნები და ამოცანები

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხედვაა ბიუროს საქმიანობის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში, სრულყოფილი მონაწილეობის და სერვისებზე თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული ხედვის განსახორციელებლად, სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ბიუროს მიზანია

- ✓ ბიუროს სერვისებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის **მათზე მაქსიმალურად მორგებული ინკლუზიური და ადაპტირებული გარემოს შექმნა**
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მომსახურების გაუმჯობესება, **ბიუროს ხვადასხვა რესურსების საშუალებით**

მიზნების განსახორციელებლად ბიუროს წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

- ✓ ბიუროს ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- ✓ ბიუროს სერვისებით სარგებლობის მიზნით, სხვადასხვა ტიპის დარღვევების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მათ საჭიროებებზე ადაპტირებული ვებ გვერდის მომზადება,
- ✓ 2022 წლის გეგმის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან კონტაქტში მყოფი ბიუროს თანამშრომებისთვის, გაეროს განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული ტრენინგის ფარგლებში, რომელიც ეხებოდა შშმ პირებთან ურთიერთობის საჭირო უნარების განვითარებას, ტრენერების მიერ მომზადებული

საინფორმაციო მასალის (ტრენინგ მოდულები, საინფორმაციო ბროშურები) გაცნობა ბიუროს ყველა თანამშრომლისთვის

- ✓ ბიუროს მიერ შექმნილი შშმ პირთა მომსახურების სტანდარტის გაცნობა და ვორქ შოფის ორგანიზება ბიუროში მომუშავე სერვისის მიმწოდებელი პირებისთვის.

მონიტორინგი და ანგარიშგება

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამოქმედო გეგმას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით მოტინორინგს ახორციელებს ბიუროს ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი პირი/პირთა ჯგუფი.

ლოგიკური ჩარჩო

მიზანი 1	**ბიუროს ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება, შშმ პირთათვის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;**
ამოცანა 1.1	**ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის გურჯაანის განყოფილების სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება. შშმ პირებისთვის ადაპტირებული იფრასტრუქტურის მოწყობა**
აქტივობა 1.1.1.	სპეციალური სამუშაო ჯგუფის დამტკიცება გურჯაანის სარეკონსტრუქციო სამუშაოების, მათ შორის პანდუსის და საპირფარეშოების სამშენებლო პროექტის შექმნის მიზნით, ვადების მითითებით

შედეგის ინდიკატორი	**დაფინანსების წყარო**					
	ადმინისტრაციული რესურსი	სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
		ოდენობა	კოდი	ოდენობა	კოდი	
სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა შშმ პირებზე ადაპტირებული გურჯაანის რეგიონული ოფისის პროექტი დამატებითი პანდუსის და ადაპტირებული სველი წერტილის გათვალისწინებით.	✓					

პარტნიორი უწყება	
განხორციელების ვადები	2023 წელი
აქტივობა 1.1.2	სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით, ბიუროს გურჯაანის რეგიონული განყოფილების სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება, მათ შორის დამატებითი პანდუსის და შშმ პირებზე ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა

შედეგის ინდიკატორი	**დაფინანსების წყარო**					
	ადმინისტრაციული რესურსი	სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
		ოდენობა	კოდი	ოდენობა	კოდი	
ბიუროს რეგიონულ ოფისში გურჯაანი მოეწყო დამატებითი პანდუსი და სველი წერტილი შშმ პირებზე ადაპტირებული შესაბამისი სტანდარტით	350000 ლარი					

პარტნიორი უწყება	
განხორციელების ვადები	2023 წელი

<table>
<tr><td>ამოცანა 1.2</td><td colspan="6">ბიუროს ცენტრალურ ოფისში შშმ პირებზე ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.2.1</td><td colspan="6">სამუშაო ჯგუფის შექმნა, შშმ პირებზე ადაპტირებული სველი წერტილის პროექტირების და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მიზნით</td></tr>
<tr><td rowspan="4">შედეგის ინდიკატორი
სამუშაო ჯგუფის მიერ ადმინისტრაციულ ოფისში სველი წერტილის პროექტირება და ბიუჯეტირება შშმ პირების მომსახურების სტანდარტის შესაბამისად</td><td colspan="6">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული რესურსი</td><td colspan="2">სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td colspan="2">სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td rowspan="2">✓</td><td>ოდენობა</td><td>კოდი</td><td>ოდენობა</td><td>კოდი</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>პარტნიორი უწყება</td><td colspan="6"></td></tr>
<tr><td>განხორციელების ვადები</td><td colspan="6">2023 წელი</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.2.2</td><td colspan="6">სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით, ბიუროს ცენტრალურ ოფისში შშმ პირებზე ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა</td></tr>
<tr><td rowspan="4">შედეგის ინდიკატორი
ბიუროს ცენტრალურ ოფისში მოეწყო სველი წერტილი შშმ პირებზე მომსახურების შესაბამისი სტანდარტით</td><td colspan="6">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული რესურსი</td><td colspan="2">სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td colspan="2">სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td rowspan="2">20000 ლარი</td><td>ოდენობა</td><td>კოდი</td><td>ოდენობა</td><td>კოდი</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>პარტნიორი უწყება</td><td colspan="6"></td></tr>
<tr><td>განხორციელების ვადები</td><td colspan="6">2023 წელი</td></tr>
<tr><td>მიზანი 2</td><td colspan="6">შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მომსახურების გაუმჯობესება, ბიუროს ხვადასხვა რესურსების საშუალებით</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>ამოცანა 2.1</td><td colspan="6">ბიუროს სერვისებით სარგებლობის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მათ საჭიროებებზე ადაპტირებული ვებ გვერდის მომზადება</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.1</td><td colspan="6">ბიუროს ოფიციალური ვებ გვერდის განახლება და სრული ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე</td></tr>
<tr><td rowspan="4">შედეგის ინდიკატორი
შექმნილია ვებ გვერდის შშმ პირებისთვის ადაპტირებული ვერსია. ადგილზე მოსვლის გარეშე ყველა საჭირო ინფორმაცია მაქსიმალურად ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტიპის - მხედველობის, სმენითი თუ ფიზიკური - შეზღუდვების მქონე მომხმარებლისთვის</td><td colspan="6">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული რესურსი</td><td colspan="2">სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td colspan="2">სხვა</td><td rowspan="3">დეფიციტი</td></tr>
<tr><td rowspan="2">25 000 $</td><td>ოდენობა</td><td>კოდი</td><td>ოდენობა</td><td>ორგანიზაცია</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>პარტნიორი უწყება</td><td colspan="6"></td></tr>
<tr><td>განხორციელების ვადები</td><td colspan="6">2023 წელი</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.2.</td><td colspan="6">ადაპტირებული ვებ.გვერდის პრეზენტაცია, საზოგადოების ინფორმირებლობის მიზნით</td></tr>
<tr><td rowspan="4">შედეგის ინდიკატორი
მოხდა ფართო საზოგადოების დეტალური ინფორმირება შშმ პირებისთვის ბიუროს ადაპტირებული ვებ გვერდის მეშვეობით სერვისებზე წვდომის შესაძლებლობის თაობაზე</td><td colspan="6">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული რესურსი</td><td colspan="2">სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td colspan="2">სხვა</td><td rowspan="3">დეფიციტი</td></tr>
<tr><td rowspan="2">✓</td><td>ოდენობა</td><td>კოდი</td><td>ოდენობა</td><td>ორგანიზაცია</td></tr>
<tr><td>1500 ლარი</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>განხორციელების ვადები</td><td colspan="6">2023 წელი</td></tr>
</table>

ამოცანა 2.2	**2022 წლის გეგმის მიხედვით, ბიუროს სერვისის მიმწოდებელი პირებისთვის გაეროს განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული ტრენინგის ფარგლებში, ტრენერების მიერ მომზადებული საინფორმაციო მასალის (ტრენინგ მოდულები, საინფორმაციო ბროშურები) გაცნობა და გავრცელება ბიუროს ყველა თანამშრომლისთვის**					
აქტივობა 2.2.1	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს განვითარების ფონდის ექსპერტების მიერ მომზადებული ტრენინგ მოდულების და საინფორმაციო მასალების გაცნობა ბიუროს ყველა თანამშრომლისთვის მთელი ქვეყნის მასშტამით					
შედეგის ინდიკატორი	**დაფინანსების წყარო**					
ბიუროს ყველა თანამშრომელი (თბილისი, ქუთასი, ბათუმი, გურჯაანი, გორი, ახალციხე, რუსთავი)გაეცნო ინფორმაციას და დაურიგდა შესაბამისი მასალები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ურთიერთობის და მათი უფლელების შესახებ	ადმინისტრაციული რესურსი	სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
		ოდენობა	კოდი	ოდენობა	ორგანიზაცია	
	✓	2000 ლარი				
პარტნიორი უწყება	გაეროს განვითარების ფონდი					
განხორციელების ვადები	2023 წელი					
ამოცანა 2.3	**ბიუროს მიერ შექმნილი შშმ პირთა მომსახურების სტანდარტის გაცნობა და ვორქ შოფის ორგანიზება ბიუროში მომუშავე სერვისის მიმწოდებელი პირებისთვის.**					
აქტივობა 2.3.1	მთელი ქვეყნის მასშტაბით ბიუროს სერვისის მიმწოდებელი პირებისთვის მომსახურების სტანდარის გაცნობა და ვორქ შოფის ორგანიზება					
შედეგის ინდიკატორი	**დაფინანსების წყარო**					
ბიუროს მიერ შექმნილი შშმ პირთა მომსახურების სტანდარტს გაეცნო ბიუროს თანამშრომელთა 100 % მთელი ქვეყნის მასშტაბით	ადმინისტრაციული რესურსი	სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
		ოდენობა	კოდი	ოდენობა	ორგანიზაცია	
	✓	2000 ლარი				
პარტნიორი უწყება						
განხორციელების ვადები	2023 წელი					

აქტივობა 2.3.2	2023 წლის სამუშაო გეგმის შეფასება ბიუროს უფროსის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ					
შედეგის ინდიკატორი შშმ პირთა უფლებების შესახებ სამოქმედო გეგმის შეფასება შესრულებულია	**დაფინანსების წყარო**					
	ადმინისტრაციული რესურსი	სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
		ოდენობა	კოდი	ოდენობა	კოდი	
	✓					
პარტნიორი უწყება						
განხორციელების ვადები	2023წელი					
აქტივობა 2.3.3	შშმ პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება					
შედეგის ინდიკატორი ჩატარდა ბიუროს უფროსის მიერ შექმნილი ჯგუფის სამუშაო შეხვედრები. შემუშავდა ბიუროს 2024 წლის სამუშაო გეგმა	**დაფინანსების წყარო**					
	ადმინისტრაციული რესურსი	სახელმწიფო ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
		ოდენობა	კოდი	ოდენობა	ორგანიზაცია	
	✓					
პარტნიორი უწყება						
განხორციელების ვადები	2023 წელი					